სამოქალაქო ერთობა

პრეზენტაცია

სამოქალაქო
ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, რომ ამომრჩეველი საკამოდ პასიურია თვითმმართველობის არჩევნების მიმართ.

სამოქალაქო ერთობა

- აღნიშნული არჩევნების მნიშვნელობის შეგრძნება მოსახლეობის უმეტეს ნაწილში ბევრად უფრო დაბალია და ისინი მეტად მგრძნობიარე და აქტიურნი არიან საპარლამენტო, ან საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში.

სამოქალაქო ერთობა

- ჩვენი აზრით, მოსახლეობის პასიურობა გამოწვეულია ინფორმირებულობის პრობლემით, რის შედეგადაც სამწუხაროდ ამომრჩეველი ნაკლებადაა ჩართული თვითმმართველობის ცხოვრებაში და ელის, რომ ვიღაც სხვა მოაგვარებს და გადაწყვეტს მის პრობლემებს.

სამოქალაქო ერთობა

- სწორედ ამ დამოკიდებულებისა და სტერეოტიპის შეცვლას ისახავდა მიზნად ჩვენი პროექტი რათა მოსახლეობას გასჩენოდა თვთმმართველობის არჩევნების მიმართ ინტერესი.
- გვინდოდა, ამომრჩეველი დაგვერწმუნებინა, რომ მათ თავად უნდა გადაწყვიტონ საკუთარი თვითმმართველობის ბედი და მისი მუშაობის პრიორიტეტები

სამოქალაქო ერთობა

- აღნიშნული პროექტის მიზანი იყო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდა და თვითმმართველობის არჩევნების პოპულარიზაცია.

სამოქალაქო ერთობა

- გურიის რეგიონის სამივე ოლქის - ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში, შესაბამის გამოყოფილ ადგილებში მოხდა საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, საარჩევნო სივრცის მოწყობა და მასში იმიტირებული არჩევნების ჩატარება.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- გაიშალა საინფორმაციო კარავი, სადაც მოსულ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, მეტი ინფორმაცია მიელო თვითმმართველობის არჩევნების შესახებ.

სამოქალაქო ერთობა

- დარიგდა საინფორმაციო ხასიათის მასალები.
- შეიქმნა ბრენდირებული მაისურები, კეპები, კალმები, კალენდრები.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- აღნიშნულ მასალაზე გამოსახულია როგორც დონორისა და ჩვენი ორგანიზაციის აღმნიშვნელი ლოგოები და დასახელებები, ასევე ამომრჩევლის მოწოდება არჩევნებში მონაწილეობის მიღების თაობაზე.

სამოქალაქო ერთობა

- გადამზადდნენ მოხალისეები, რომლებმაც უზრუნველყვეს საინფორმაციო მასალების (ფლაერი, ბუკლეტი) გავრცელება მოსახლეობაში, ხალხმრავალ ადგილებზე.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- მოეწყო იმიტირებული საარჩევნო სივრცეები.
- განთავსდა საარჩევნო ყუთი, საარჩევნო ინვენტარი რომლებმაც ნათელი წარმოდგენა შეუქმნეს მოსახლეობას საარჩევნო პროცედურების შესახებ.

სამოქალაქო ერთობა

- იმიტირებული საარჩევნო სივრცის მოწყობა მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ საარჩევნო პროცედურების გაცნობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ამაღლებისთვისაც.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- აღნიშნული ღონისძიებები წარიმართა საარჩევნო ოლქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე, რათა უფრო მეტ ამომრჩეველს მიეღო ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მნიშვნელობაზე.
- კანონმდებლობის სიახლეებსა და საარჩევნო პროცედურების გამჭვირვალობის თაობაზე.

სამოქალაქო ერთობა

სამოქალაქო ერთობა

- ვინაიდან, გაზეთი დღესაც პოპულარულია გურიაში, ჩვენმა ორგანიზაციამ იზრუნა და ბეჭდურ მედიაში, კერძოდ კი „გურია ნიუსში“ განთავსდა ყოველკვირეული საინფორმაციო სტატიები თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობაზე, რამაც დამატებით ხელი შეუწყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

სამოქალაქო ერთობა

გურია News

21 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დღეა!
აუცილებლად მიდი არჩევნებზე _ შენი ხმა გადამწყვეტია!

რისთვის გვჭირდება თვითმმართველობა?!

"ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს"

"თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა _ საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს," _ წერდა ილია ჭავჭავაძე.

ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები და სტრუქტურა დემოკრატიულ ქვეყნებში ხანგრძლივი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია ძირითადი ტენდენციის გამოკვეთა: გაუმართლებელი იქნება, თუ უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ხელისუფლებას დაეკისრება იმის გაკეთება, რაც უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ სახელისუფლებო ორგანოს შეუძლია _ ერთი ცენტრიდან ყველაფრის კონტროლი ისეთივე შეუძლებელია, როგორც ერთი ადამიანის მიერ საზოგადოების წინაშე მდგარი ყველა პრობლემის გადაწყვეტა.

ცენტრალური ხელისუფლებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მოქნილნი და განახლებადნი არიან, უკეთ იცნობენ ადგილობრივ სპეციფიკას, საქმიანობას უფრო ნაკლები დანახარჯებითა და მეტი ეფექტურობით ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდება თავისი ტერიტო-

ცემას ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც მრავალი სიკეთე ახლავს თან: მართვის ხარჯების შემცირება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, საერთოეროვნულ პრობლემებზე მეტი აქცენტის გამახვილება, შრომითი რესურსების მობილურობისა და დემოკრატიული კონტროლის ზრდა, ნათელი ანგარიშვალდებულებები, რეს[redacted]

რომ ადგილობრივი დემოკრატია ხანგრძლივი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის წყაროა.

ნებისმიერი სალად მოაზროვნე ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებულია მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს არსებობა, "კარგი ხელისუფლების" როლს თამაშობს. "კარგი ხელისუფლების" პრინციპები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ხალხის სუვერენიტეტი, ძალაუფლების გაყოფა, კანონის უზენაესობა, წარმომადგენლობა და მონაწილეობა.

სწორედ ამიტომ, ეროვნული მთავრობები ახდენენ მომსახურების დიფერენციაციას, რის შედეგადაც იქმნება კონკურენცია, მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, მართვის ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა უშუალოდ საზოგადოებას, კერძო და არასამთავრობო სექტორებს.

[redacted]



მოქალაქეებთან და გამოხატავს უშუ[redacted]რესებს. მაგალითად,

ზრდის, პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერების, ისე საჯარო მოხელე-

სამოქალაქო ერთობა

21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ!
ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ _ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ!

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ
ᲛᲣᲮᲚᲘ 28

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ 18 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲐᲥᲕᲡ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲘ ᲙᲛᲔᲓᲣᲣᲜᲐᲠᲝᲓ ᲪᲜᲝ ᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ
ᲛᲣᲮᲚᲘ 21

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ-ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲜ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ, ᲐᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲨᲘ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲛᲘᲐᲜᲘ; ᲔᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲐᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲗ, ᲐᲜᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲘ ᲙᲛᲔᲓᲣᲣᲜᲐᲠᲝᲓ ᲪᲜᲝ ᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡᲐᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐᲡ.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ 28-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ 1 ᲓᲐ 2 ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ" ᲮᲝᲚᲝ "ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲐᲠᲩᲝᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ". ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲢᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲗ, ᲐᲜᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐ.



ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ 28-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ 1 ᲓᲐ 2 ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ" ᲮᲝᲚᲝ "ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲐᲠᲩᲝᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ". ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲢᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲗ, ᲐᲜᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲛᲝᲜᲘᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ 10 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲝᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ – ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ 21 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲝᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ – ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲕᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲠᲒᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲘᲠᲩᲔᲜᲝᲜ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲝᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ – ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

სამოქალაქო ერთობა

გურია News

21 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დღეა!
აუცილებლად მიდი არჩევნებზე _ შენი ხმა გადამწყვეტია!

თვითმმართველობის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები (მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები) 2017 წლის 21 ოქტომბერს გაიმართება.

საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის", საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით, აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

2017 წლის 21 ოქტომბერს, საქართველოში ამომრჩევლები აირჩევენ 64 საკრებულოს 2058 წევრს და 64 მერს.

თვითმმართველობის გარანტიები

სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების [illegible]

კრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს საკრებულო.

მუნიციპალიტეტის [illegible]

მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების [illegible]

ულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყეპარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენო-

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით: განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების,

სამოქალაქო ერთობა

გურია News

21 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დღეა!
აუცილებლად მიდი არჩევნებზე _ შენი ხმა გადამწყვეტია!

რას მოითხოვს ევროპული ქარტია

ადგილებისთვის უფლებებისა და შესაბამისი რესურსების გადაცემას ალტერნატივა არ აქვს

დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, 1968 წელს მიიღეს დეკლარაცია თვითმმართველობის უფლებების შესახებ, რომელსაც 1981 წლიდან კონვენციის სახე მიეცა და სავალდებულო გახდა ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის. 1984 წელს, რომის უმაღლესი დონის შეხვედრისას, ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მიერ აღიარებულ იქნა ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ, რომელიც 1985 წელს კონვენციად იქცა.

საქართველო აღნიშნულ კონვენციას 2004 წლის ბოლოს შეუერთდა და იგი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 2005 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

ქარტია ითვალისწინებს ოთხი ტიპის ავტონომიის (პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური) არსებობას.

უმთავრესი დებულებები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

მუხლი 6. ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება უნდა ჰქონდეს, თავად განსაზღვროს შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები, რათა შეუსაბამოს ისინი ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფას. ადგილობრივი თვითმმართველ-

ბს. ასეთმა პროცედურამ არ უნდა შეზღუდოს ადგილობრივი ხელისუფლების უფლება, აწარმოოს პოლიტიკა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.

მუხლი 10. ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება უნდა ჰქონდეს ასოციაცია შექმნას სხვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან საერთო ინტერესის განხორციელების მიზნით და ეს კანონით უნდა იყოს გარანტირებული.

მუხლი 11. ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება უნდა ჰქონდეს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ თავისუფლებათა დარღვევისას, თავისი უფლებე-

სამოქალაქო ერთობა

- ვიმედოვნებთ, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ინფორმირებული ამომრჩევლის რაოდენობა.
- მოიმატება მათმა ჩართულობამ საარჩევნო პროცესებში და ამომრჩეველმა ნათლად გაიაზრა თვითმმართველობის არჩევნებისა და თვითმმართველობის ორგანოების მნიშვნელობას.